

დარღვევები მნიშვნელოვანი გზარის ფორმათა მართლწერილსა და  
გამოყენებისას თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ სხვადასხვა დროს მიღებულია და 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა“ პირველ წიგნში დაბეჭდილია ვნებითი გვარის ზმნების მართლწერის რამდენიმე წესი შემდეგ საკითხებზე:

1. **ი-** და **ე-** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა მეორე ჯგუფში (ისინი დაიმაღლნენ თუ დაიმაღლენ? დაემაღლნენ თუ დაემაღლენ? დაესწრნენ თუ დაესწრენ? შეეჩვივნენ თუ შეეჩვიენ მას?)<sup>1</sup>.

2. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (ვშობილვარ თუ შობილვარ? ვშობილიყავი თუ შობილიყავი ან ვშობილვიყავი?)<sup>2</sup>.

3. ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორეში (შევჰკითხებოდი თუ შევჰკითხებიყავი?)<sup>3</sup>.

4. **-ევ** სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა მეორე ჯგუფში<sup>4</sup>.

დადგენილი წესების დაცვა სავალდებულოა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად გვხვდება ამ წესების დარღვევის შემთხვევები სალიტერატურო ენის მოხმარების სულ სხვადასხვა სფეროში: სკოლაში, პრესის, რადიოს, ტელევიზიის ენაში, ნათარგმნი თუ მხატვრული ლიტერატურის ენაში, რამაც განაპირობა ამ და ამასთან დაკავშირებულ ზოგ სხვა საკითხზე კვლავ ყურადღების გამახვილება.

<sup>1</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970 წ., გვ. 185—187.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 211—213.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 214.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 207—210.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნის ვნებითი გვარის აწმყოს ფორმებში გამოხატული შინაარსის მიუხედავად სუბიექტური მესამე პირის ნიშნად არის მხოლოდობითში -ა სუფიქსი, მრავლობითში — ან. მესამე სუბიექტური პირის ნიშნის წინ უმრავლეს შემთხვევაში არის -ებ სუფიქსი, უფრო ნაკლებად — -ევ, იშვიათად — -ობ, -ოფ და -ემ<sup>5</sup>.

მოქმედებითი გვარის ნებისმიერსუფიქსიანი ზმნა ვნებითად ქცევისას თანამედროვე ქართულში -ებ სუფიქსიანი ხდება, მხოლოდ -ევ, ზოგჯერ -ობ, -ოფ, -ემ შერჩება უცვლელად. ამგვარად, თუ მოქმედებითის ფორმები ასეთია:

აკეთ-ებ-ს	უკეთ-ებ-ს
კერ-ავ-ს	უკერ-ავ-ს
დგ-ამ-ს	უდგ-ამ-ს
ანგრ-ევ-ს	უნგრ-ევ-ს
აპ-ობ-ს	უპ-ობ-ს
აწყ-ობ-ს	უწყ-ობ-ს
ყოფ-ს	უყოფ-ს
გამო-ს-ც-ემ-ს და სხვ.,	

ამათგან ნაწარმოები ვნებითის ფორმები იქნება ამგვარი:

კეთ-დ-ებ-ა	უკეთ-დ-ებ-ა
იკერ-ებ-ა	ეკერ-ებ-ა
იდგ-მ-ებ-ა	ედგ-მ-ებ-ა
ინგრ-ევ-ა	ენგრ-ევ-ა
იპ-ობ-ა	ეპ-ობ-ა
იწყ-ობ-ა	ეწყ-ობ-ა
იყოფ-ა	ეყოფ-ა
გამო-ი-ც-ემ-ა	და ა. შ.

ამათთანვე განიხილება უძველესი გარდაუვალი დინამიკური ზმნები **ობ-ებ-ა** ტიპისა მათი ფორმისა და ფუნქციის გამო.

მაშასადამე, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა უმრავლესობა ვნებითის ნიშნად მიჩნეული მაწარმოებლების გარდა ამოიცინობა -ებ-ა, -ევ-ა, -ობ-ა, -ოფ-ა, -ემ-ა დაბოლოებითაც მხოლოდობითი რიცხვის III პირში, პირველსა და მეორე პირში კი —

<sup>5</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953 წ.; გვ. 419—423, 455—477; 1973 წ. გვ. 443—463, 409—413; ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975 წ., გვ. 123—176.

-ებ-ი, -ევ-ი, -ობ-ი, -ოფ-ი, -ემ-ი დაბოლოებით. გვაქვს ზმნათა ვნებით გვარის ასეთი ფორმები ყველა პირისათვის:

ვ-კეთ-დ-ებ-ი	ვ-ი-კერ-ებ-ი	ვ-ე-კერ-ებ-ი	ვ-თბ-ებ-ი
კეთ-დ-ებ-ი	ი-კერ-ებ-ი	ე-კერ-ებ-ი	თბ-ებ-ი
კეთ-დ-ებ-ა	ი-კერ-ებ-ა	ე-კერ-ებ-ა	თბ-ებ-ა
ვ-კეთ-დ-ებ-ი-თ	ვ-ი-კერ-ებ-ი-თ	ვ-ე-კერ-ებ-ი-თ	ვ-თბ-ებ-ი-თ
კეთ-დ-ებ-ი-თ	ი-კერ-ებ-ი-თ	ე-კერ-ებ-ი-თ	თბ-ებ-ი-თ
კეთ-დ-ებ-ი-ან	ი-კერ-ებ-ი-ან	ე-კერ-ებ-ი-ან	თბ-ებ-ი-ან.

ილუსტრაციები:

საქმე ასე არ კეთდება („კომუნისტი“).

საბანი იკერება მატყლისაგან ან ბამბისაგან („ცნობის ფურც.“).

ეკერებოდა გულ-მკერდზე ქმარს მარგალიტის ღილადა (ვაჟა).

ახლა ბინები კარგად თბება („თბილისი“).

ვნებით გვარისავეა ფორმები: ინგრევა (ენგრევა), ირღვევა (ერღვევა), ირკვევა (ერკვევა), იქცევა (ექცევა), ირევა (ერევა), იმღვრევა (ემღვრევა), ეტევა, ეწევა... იხრჩობა (ეხრჩობა) და მათი მსგავსნი.

ძველ ქართულში ყველა ასეთ შემთხვევაში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად მხოლოდობით რიცხვში, როგორც წესი, აწმყოში მხოლოდ -ს ნიშანი გამოიყენებოდა. გვქონდა ფორმები: კეთ-დ-ებ-ი-ს, ი-კერ-ებ-ი-ს, ე-კერ-ებ-ი-ს, თბ-ებ-ი-ს, ი-ნგრ-ევ-ი-ს, ი-ხრჩ-ობ-ი-ს და ა. შ.

ასევეა „ვეფხისტყაოსანშიც“:

„მეფე ბრძანებს: „რა შევიგნათ, გული ჩვენი რით იხსნების?“

ამა ორთა კიდევანთა აზრი არა არ იქმნების:

ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების,

მისგან კიდე არვისად სცალს, არცალა ვის ეუბნების“ (1183).

მრავლობით რიცხვში კი ძველადაც -ან იხმარებოდა ასეთ შემთხვევებში:

„ფრიდონისებრნი მოყმენი ვინა ვინ ვით ეგებოიან!

მაგრა მას ახლვან ქებანი, მართ მეტი არ მიხვდებოიან,

მზე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებოიან,

დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი ჰკრთებოიან“ (3. ტ., 389).

ახალ სალიტერატურო ქართულში ამგვარ ფორმებს აწმყოს მესამე პირში მოექვეცა ფუძის ბოლოკიდური -ი- და სუბიექტური მესამე პირის ნიშნად მხოლოდობითში -ა სუფიქსი დამკვიდრდა:

კეთ-დ-ებ-ის  
ი-კერ-ებ-ის  
ე-კერ-ებ-ის  
თბ-ებ-ის  
ი-ქც-ევ-ის  
ე-ქც-ევ-ის

კეთ-დ-ებ-ა  
ი-კერ-ებ-ა  
ე-კერ-ებ-ა  
თბ-ებ-ა  
ი-ქც-ევ-ა  
ე-ქც-ევ-ა

და ა. შ.

ეს გარემოება ძველი და ახალი ქართულის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნადაც იქცა.

მაგრამ დასახელებული ფორმების გვერდით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არსებობს ვნებითი გვარის ზმნათა ფორმები ძველი ქართულისებური დაბოლოებითაც. მაგალითად: იბმის, ილაგვის, იდგმის, ითქმის (ეთქმის), იკარგვის (ეკარგვის), იკვლის (ეკვლის), იკვრის (ეკვრის), იკუთვნის, იწვის (ეწვის), ისმის (ესმის), იძვრის, იხატვის (ეხატვის) და ა. შ. ისინი სხვადასხვანაირი სიხშირით გამოიყენებიან. მათგან უმრავლესობას მოეპოვება -ებ-ა დაბოლოებიანი ფორმებიც: ილაგება (ელაგება), იდგმება, ითქმება (ეთქმება), იკარგება (ეკარგება), იკვლება (ეკვლება), იკვრება (ეკვრება), იწვება (ეწვება) და მისთ.

სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით ორივეგვარი დაბოლოება ამნაირ ზმნებთან სწორადაა მიჩნეული; პარალელურ ფორმება-დაა ჩათვლილი ამგვარი ფორმები: იბმება//იბმის, ილაგება//ილაგვის, იდგმება//იდგმის, იკარგება//იკარგვის, იკვლება//იკვლის, იკვრება//იკვრის, იმარხება//იმარხვის, იმსჭვალება//იმსჭვალვის, ირწყვება//ირწყვის, ისახება//ისახვის, ისმება//ისმის, ისხმება//ისხმის, იტანჯება//იტანჯვის, იფარება//იფარვის, იწვება//იწვის, იხატება//იხატვის, იხვნება//იხვნის, იხრუკება//იხრუკვის და სხვ. ასევე: ეგულება//ეგულების, ექალება//ექალების და მისთ.

ძველი ფორმების ხმარებისათვის ზოგ ზმნასთან მაინც ერთგვარი შეზღუდვებია გატარებული, როცა პარალელური ფორმების საჩვენებლად, ერთი მხრით, გვაქვს ლიტერატურული ენის თვალსაზრისით თანაბრად მიჩნეული ფორმები — იბმება//იბმის, იდგმება//იდგმის და მისთანები, ხოლო, მეორე მხრით, უპირატესობა ეძლევა -ებ სუფიქსიან ფორმებს — იკვლება//იკვლის, იკვრება//იკვრის)... ან — იმარხება//იმარხვის, ისახება//ისახვის) და ა. შ. ეს კი იმას ნიშნავს რომ ძველ ფორმას ყოველთვის ერთნაირი გამოყენება არ შეიძლება ჰქონდეს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ძველი წარმოება ერთადერთ დასაშვებ ან უკეთეს ფორმადაა მიჩნეული გარკვეული მნიშვნელობით, რადგანაც ახლებურად ნაწარმოებ ფორმას განსხვავებული მნიშვნელობა დაუ-

კავშირდა. ასეთებად შეიძლება დავასახელოთ ი-სმ-ი-ს, ე-სმ-ი-ს, ე-რთვ-ი-ს, ერწყ-მ-ი-ს, ე-კვრ-ი-ს და ზოგი სხვა ზმნაც.

**ი-სმ-ი-ს** ან **ე-სმ-ი-ს** ფორმები იხმარება მაშინ, როცა ამოსავალია **სმენა**: ხმა არსაიდან ისმის; ჩემი არაფერი ესმის.

**ი-სმ-ებ-ა**, **ე-სმ-ებ-ა** ფორმები კი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა **სმა** (=დალევა) არის ამოსავალი: ეს წყალი არ ისმება; მას ღვინო არ ესმება.

**ი-სმ-ებ-ა** და **ი-სმ-ი-ს**, **ე-სმ-ებ-ა** და **ე-სმ-ი-ს** ფორმების პარალელურად გამოიყენება მხოლოდ მაშინაა სალიტერატურო ენის თვალსაზრისით გამართლებულად მიჩნეული, როცა ასეთი მნიშვნელობით გვხვდება: ისმება საკითხი (კითხვა)//და ისმის საკითხი (კითხვა); ანდა: ხაზი გაისმება (გაესმება). მაგრამ, როცა **ი-სმ-ებ-ა** და **ლევის** მნიშვნელობითაა, მაშინ ის ერთადერთი მისაღები ფორმაა და მის პარალელურად ნახმარი **ისმის** (ღვინო, სითხე) არაა მიჩნეული გამართლებულად.

**ე-რთვ-ი-ს** (განცხადებას თან ერთვის საბუთები; ლეხურა მტკვარს მარცხნიდან ერთვის; ზმნისწინი ზმნას თავში და ერთვის) ზმნის პარალელურად **ერთვება** ფორმა უზმნისწინოდ არ იხმარება. მხოლოდ ზმნისწინით და განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსით იხმარება **ე-რთვ-ებ-ა**, **ჩა-ე-რთვ-ებ-ა... ფორმები**.

**ე-რწყ-მ-ი-ს** ფორმა უფრო ბუნებრივად და ჩვეულებრივად იხმარება, ვიდრე **ე-რწყ-მ-ებ-ა**:

სიცილი გმირების ბუნებიდან გამოდინარეობს, მათი უტეხი სულის თვისებაა და ორგანულად ერწყმის პიესის ქსოვილს („ახ. კომ.“).

შენობის არქიტექტურა კარვად ერწყმის გარემოს („თბილისი“).

ბგერები ერთმანეთს ერწყმიან („განთიადი“).

**ე-კვრ-ი-ს** ფორმა თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც ჩვეულებრივია:

ჩვენს ეზოს ბაღია ეკვრის (ეკვროდა); სუნთქვა ეკვრის...

გვხვდება **ე-კვრ-ებ-ა** ფორმაც, რომელიც ზოგჯერ არაბუნებრივი ჩანს კონტექსტში. მაგალითად:

<sup>6</sup> ასეთი განსხვავებული გამოყენება ერთნაირი ფორმებისა ნაჩვენებია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1968 წ.) ზოგ სხვა შემთხვევაშიც, რის გამოც ამ ლექსიკონის მნიშვნელობა იზრდება. წმინდა ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური ცნობების გარდა იგი ფორმათა ნორმატულ-სტილისტიკურ დახასიათებასაც იძლევა ზოგჯერ.

<sup>7</sup> **სვამს** (=დალევა) და **უსვამს** (ხაზს) ზმნათაგან ვნებითის ერთნაირდაბლოგებიანი **ისმება**, **ესმება** ფორმების პარალელურად, მათ გასარჩევად, ენაში გაჩნდა **ისმევა**, **ესმევა** ფორმები, რომლებიც სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უქუსაგდება: ეს სადღევრძელო ასე ისმევაო („ლიტ. საქ.“).

მისი სობრანო, რომელიც ალტის სიღრმემდე ეშვება და იქაც ჩინებულად ქლერს, ისეთ მგზნებარებას, ძალას და ექსპრესიულობას, სითბოსა და სიწირფელეს აფრქვევს, რომ კაცს სუნთქვა ეკვრება ხოლმე („ლიტ. საქ.“).

აეკვრება თუ საწარის კედელს და ალერსიანი თვალებით მიყურებდა („ცისკარი“).

ასევე არ გამოდგება ეკვრება ფორმა ასეთ კონტექსტშიც — ქილებს ეკვრება იარლიყი („საქ. ქალი“). მაგრამ აქ არც ეკვრის ფორმა გამოდგებოდა; არაბუნებრიობის მიზეზი სხვაა: ვნებითის ფორმა საერთოდ არ გამოდგება; რადგან ზმნის აქტიური აკრავენ ფორმაა საჭირო (ქილებს აკრავენ იარლიყებს).

ეკვრ-ი-ს ფორმის პარალელურად ეკვრ-ებ-ა-ს არაბუნებრიობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეკვრება-ს მეტი შინაარსობრივი მსგავსება უჩანს უკრავს (შეუკრა, შეუკრავს) ზმნასთან. ამით შეიძლება აიხსნას ეკრობა ფორმის გაჩენა, რომელიც ზოგჯერ იხმარება:

მტვერი ცხვირის შიგა ლორწოვან ზედაპირს ეკრობა („წყარო“).

არც ჩვენ გავეკრობით ზეცასა („ლიტ. საქ.“).

მაგრამ ეკრობა დიალექტური ფორმაა და უნდა უარცყოთ.

ეკუთვნ-ი-ს ფორმის პარალელურად იმავე მნიშვნელობით იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს უზმნისწინოდ ეკუთვნება ფორმაც. ბუნებრივად იხმარება გან-ეკუთვნ-ებ-ა, მი-ეკუთვნ-ებ-ა... ფორმები. მაგრამ აბსოლუტურად პარალელურ ფორმებად ისინი ვერ ჩაითვლება.

მამად მეკუთვნოდა („ცისკარი“).

თავის თავს არ ეკუთვნის („მნათობი“).

ეკუთვნ-ი-ს ფორმა ხშირად დაუკვირვებლად და გაუაზრებლად გამოიყენება ზებირ მეტყველებასა და ზოგჯერ ნაბეჭდ პროდუქციისშიც. შტამპად იქცა ასეთი გამოთქმა: (ამა თუ იმ) მწერლის კალამს ეკუთვნის (ესა თუ ის) ნაწარმოები.

ეკუთვნ-ი-ს ფორმას კი აქვს მნიშვნელობები: 1. მის კუთვნილებას შეადგენს, მისია; მისი ხელიდანაა გამოსული, მისი შექმნილია; 2. ღირსია, ერგება, შეეფერება; 3. მოეთხოვება, ვალად აქვს; 4. ითვლება, ირიცხება, განეკუთვნება, მიეკუთვნება; 5. აქვს, ეკისრება (რაიმე როლი); მაგრამ სალიტერატურო ქართულში ამ ფორმის ფართოდ გამოყენების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ამგვარი დარღვევები:

თუ გეკითხებიან, როგორ სხეულებს ეკუთვნის კალა, ნუ იჩქარებთ უპასუხოდ, რომ იგი ყოველთვის მყარი სხეულია („ფიზიკა“).

უნდა იყოს: როგორი სხეულია კალა...

სწორედ ამგვარ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებს განეკუთვნება თენგიზ აბულაძის ახალი ფილმი „ნატურის ხე“ („თბილისი“).

უნდა: ამგვარი კინემატოგრაფიული ნაწარმოებია...

**ი-ძვრ-ი-ს** ზმნა ჩვეულებრივია გამოთქმებში: სიო არ ი ძ ვ რ ი ს (იძვ-როდა). იშვიათი და ჭერჭერობით სახამუშოა ახლებური **ი-ძვრ-ებ-ა** ფორ-მა, რომელიც ზმნისწინიანად უფრო გვხვდება: **აღიძვრება, დაიძვრება.**

ქარხანაში ყოფნისას შენში აღიძვრება ახალი ემოციები („საქ. ქალი“).  
მატარებელი, სადაც არის, დაიძვრება („მნათობი“).

ეს ციხე აძლევდა პირველ ნიშანს, თუ დასავლეთიდან მტერი დაიძვრებოდა („ციხეკარი“).

შეკუმშულ სითხეში აღიძვრება დრეკადობის ძალა („ფიზიკა“)

ასევე უფრო ბუნებრივად იხმარება **ითქმის, ეთქმის** ფორმები, ვიდრე **ითქმება, ეთქმება.**

საღღერძელოები შესანიშნავი წესრიგით ითქმოდა („საქ. ქალი“).

მასზე აღარც ტურებს ეთქმოდათ რამე („ციხეკარი“).

თუმცა გვაქვს ასეც:

ქართველი მწერლების ყრილობაზე მხოლოდ მართალი ითქმება („ლიტ. საქ.“).

შინაარსობრივ-სტილისტიკურ ნიუანსებს შეენიშნავთ **იწვის — იწვება და ეწვის — ეწვება** ფორმათა გამოყენების შემთხვევაში. ჩვეუ-ლებრივია **თვალეები დაეწვის, გული დაეწვის, მაგრამ მწვადი დაეწვება, ზელები დაეწვება.**

მე შენ გიტყვი, ცეცხლის დანთებაზე დაეწვება ხელები („საქ. ქალი“).

უცეცხლოდ იწვის, მაგრამ

მერაბმა შეამჩნია, რომ ბიგელის შემეხები ნაწილი ხშირად იწვებოდა („ახ. კომ.“).

მაშასადამე, ძველი და ახალი წარმოების ვნებითის პარალელურ ფორმებთან უმეტესად განსხვავებული სტილისტიკური ფუნქციაც არის დაკავშირებული და ამდენად მათი არსებობა გამართლებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

\*

\* \* \*

ვნებითი გვარის ზმნა ჩვეულებრივად ერთპირიანი ან ორპირიანია. ზოგ ორპირიან ვნებითი გვარის ზმნას გაუჩნდა მესამე პირიც მიცემით-ში დასმული მეორე ობიექტის სახით: ჰპირდება, უყვება, ეკითხება, ესეს-ხება, ეხვეწება... (ის მას მას), მაგრამ ეს მოვლენა მეორეული და გვიან-დელია (არნ. ჩიქობავა).

ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნები ყოველთვის შეიცავენ მიცემით-ში დასმული ბრუნვაუცვლელი ობიექტის გაგებას და ამდენად ამ პირის აღმნიშვნელი ნიშანი აუცილებელია III პირის ფორმაში, თუ საამისო ფონეტიკური გარემოცვაა. მაგრამ დრო-კილოთა I და II ჯგუფის ფორ-მებში ასეთი ზმნები უმეტესწილად ხმოვანთავსართიანებია (უკეთდება

ეკვრება, უთბება...) და ამდენად III სუბიექტური პირის ჰ-/ს- თავსართის გამოჩენისათვის პირობები არ არსებობს. დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებში კი, რამდენადაც ეს ფორმები თანხმოდენებით იწყება, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აუცილებლად ითვლება ობიექტური III პირის ნიშნის წარმოჩენა, თუ, რასაკვირველია, თანხმოდენების ფონეტიკურად ასატანი ჯგუფი იქმნება. ამიტომ გვაქვს თურმეობით I-ში (რა უქნია?):

გა-ჰ-კეთ-ებ-ი-ა  
შე-ჰ-კერ-ე-ი-ა  
გა-ს-თბ-ობ-ი-ა  
და სხვ.

თურმეობით II-ში (რა ექნა?):

გა-ჰ-კეთ-ებ-ოდ-ა  
შე-ჰ-კერ-ე-ოდ-ა  
გა-ს-თბ-ობ-ოდ-ა  
და სხვ.

ჰ- და ს- თავსართების ხმარების სხვა წესებთან ერთად დიდი ხანია დადგენილია ობიექტური მესამე პირის ნიშნის ხმარების ეს წესიც<sup>8</sup>, მაგრამ ამის მიუხედავად ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება მისი დარღვევის შემთხვევები ვნებითი გვარის ფორმებშიც.

მაგალითები:

მურისას კული აებრისა, თვალეზი დაკუსოდა („საქ. ქალი“).

უნდა: დაჰკუსოდა.

გზაში სიარული გაუჭირდა, ფეხი მოყინოდა („ახ. კომ.“).

უნდა: მოჰყინოდა.

თეთრი კრავი შეფარებია ჩოკინას ჩრდილს („ციხკარი“).

უნდა: შეჰფარებია.

მაგდა დედას აღარ გატირებია იმ დილის შემდეგ („საქ. ქალი“).

უნდა: გახტირებია.

წვერში ჭალარა მოჭარბებოდა და კეფა გამელოტებოდა (გ. ხარაიძე).

უნდა: მოსჭარბებოდა.

საფეთქლებთან მეჩხრად შერჩენილი თმა გაჭალარაგებოდა („ციხკარ. ბიბლ.“).

უნდა: გასჭალარაგებოდა.

და სხვა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მომხმარებელთათვის სა-

<sup>8</sup> „ნორმები“, I, 1970 წ., გვ. 197—198.



ვალდებულად ითვლება დასახელებული წესის დაცვა. ყველა ზემოთ ნაჩვენების მსგავსი შემთხვევა ნორმიდან გადახვევად ჩაითვლება.

ენებითი გვარის ზმნების დრო-კილოთა სხვადასხვა ჯგუფის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არაა დაცული ერთგვარობა.

დრო-კილოთა I ჯგუფის ფორმების მართლწერის წესები იშვიათად ირღვევა, II და III ჯგუფის დრო-კილოთა ფორმების მართლწერის დარღვევები ჯერ კიდევ შეინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი ნორმები ამ საკითხზეც არსებობს და გამოქვეყნებულიცაა.

კერძოდ, მიღებულია და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გატარებული უნდა იყოს შემდეგი წესები:

1. დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმები **ი-** და **ე-** პრეფიქსიანი ენებითებისა მრავლობითი რიცხვის III პირში **-ნენ** დაბოლოებიანი უნდა იყოს, თუმცა პირველსა და მეორე პირში ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმისათვის დამახასიათებელი **-ნ** (**←ენ**) აღარ ჩანს ახალ ქართულში. ამ წესის მიღება საჭირო გახდა იმიტომ, რომ ასეთ სიტუაციაში ძველი ქართულის **-ეს** დაბოლოება მოიშალა ენებითის ფორმებისათვის დამახასიათებელ **-ენ** (**>ნ**) სუფიქსთან ერთად. ახლებურ წარმოებაზე გადასვლას მოჰყვა ფორმათა სიჭრელე.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმა იყო:

ნამყო ძირითადში (რა ვქენით?):

და-ვ-ი-მალ-ენ-ი-თ  
და-ი-მალ-ენ-ი-თ  
და-ი-მალ-ნ-ეს

კავშირებით II-ში (რა ვქნათ?):

და-ვ-ი-მალ-ნ-ე-თ  
და-ი-მალ-ნ-ე-თ  
და-ი-მალ-ნ-ენ

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ნორმად არის მიჩნეული ასეთი ფორმები:

ნამყო ძირითადში:  
(რა ვქენით?)

და-ვ-ი-მალ-ე-თ	და-ე-ე-მალ-ე-თ
და-ი-მალ-ე-თ	და-ე-მალ-ე-თ
და-ი-მალ-ნენ	და-ე-მალ-ნენ

კავშირებით II-ში:  
(რა ვქნათ?)

და-ვ-ი-მალ-ო-თ	და-ვ-ე-მალ-ო-თ
და-ი-მალ-ო-თ	და-ე-მალ-ო-თ
და-ი-მალ-ო-ნ	და-ე-მალ-ო-ნ

ძველი ქართული სათვის დამანასიათებელი ფორმები (დავიმალენით, დაიმალენით... ნამყო ძირითადისა, ან დავიმალენით, დაიმალენით, დაიმალენენ კავშირებითი მეორისა და მათი მსგავსნი) აქა-იქ ახლაც იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ ისინი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით არქაიზმებად ან დიალექტიზმებად მიიჩნევა.

წუხელ განვაშით ადუყარენით და გამოვწეთ აქეთ („ცისკარი“).  
თვალეზი დავხუჭეთ და წყალს მივეცენითო („ცისკარი“).  
თავაწულები, გახალისებულნი მივეცენით გზას („ცისკარი“).

სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არ არის სწორი აგრეთვე ნანყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში და ი მა ლ ე ნ, მი ე ფ ა რ ე ნ, მი ე ხ მ ა რ ე ნ... ფორმათა გამოყენება სწორი და ი მა ლ ე ნ, მი ე ფ ა რ ე ნ, მი ე ხ მ ა რ ე ნ... ფორმათა მაგივრად, რადგანაც ამჟამად დადგენილია, რომ -ნენ დაბოლოება ასეთ შემთხვევებშიც ერთადერთი ისევე, როგორც სხვა ტიპის ენებითებში (აშენ-დ-ნენ, აუშენ-დ-ნენ, გათბ-ნენ, გაუთბ-ნენ...), თუმცა სხვა გზითაა მიღებული.

-ნენ დაბოლოების გამოყენებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ზოგი ზმნის ფუძის თავისებურება:

ა. -ენ, -ან, -ნ სუფიქსიანი ზმნებისაგან ვნებითის ამგვარ ფორმებში მოსალოდნელია ორი ნს თავმოყრა (მო-ეფინ-ნენ, მო-ე-ვლინ-ნენ, გა-ე-ქან-ნენ, მო-ე-ჩვენ-ნენ, გან-ი-კურნ-ნენ, გა-ე-გზავნ-ნენ და მისთ.), რომელთაგან ერთი ფუძის ბოლოკიდურია, მეორე კი — მრავლობითის -ნენ დაბოლოების თავკიდური.

თანხმოვანთა ამ ტიპის თავმოყრას თანამედროვე სალიტერატურო ქართული სხვადასხვაგვარად უგლის იმის მიხედვით, თუ როგორი თანხმოვნები აღმოჩნდება ერთმანეთის გვერდით და სიტყვის რომელ ნაწილში. უმეტესად მაინც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა სხვადასხვა ფუნქციის ერთნაირი თანხმოვნების შენარჩუნებას მოითხოვს სიტყვის სულ სხვადასხვა ნაწილში (ვეარდები, გგავს, მმორჩილებს, მმართველი, თბილისს, ქარქაშში, კოვზზე და სხვ.).

ძველ ქართულში კი თანხმოვანთა ამგვარი თავმოყრის შემთხვევაში ერთ-ერთი უმეტესწილად იკარგებოდა<sup>9</sup>. საეციალურ ლიტერატურაში აღწერილია ნ თანხმოვნების თავმოყრის შემთხვევაშიც ერთ-ერთის დაკარგვა. მითითებულიცაა სწორედ შემოდასახელებულის მსგავს სიტუა-

<sup>9</sup> შენიშვნა: ვნებითის ამგვარი ფორმა თანამედროვე სალიტერატურო ქართული სათვის უცხოა. დრო-კილოთა IP ჯგუფის ფორმებს ეს ზმნა ველარ იწარმოებს.

<sup>10</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971 წ., გვ. 28—33.

ციაში მოსალოდნელი ორი **ნ**-ს მაგივრად ერთი **ნ**: იქმნეს<იქმნ-ნ-ეს, შე-მექმნეს<შემექმნ-ნ-ეს, აღეშენეს<აღეშენ-ნ-ე-ნ, განიდევნეს<განიდევნ-ნ-ეს, წარიგზავნეს<წარიგზავნ-ნ-ეს, განიხრწნენ<განიხრწნ-ნ-ე-ნ, აღ-მოეცენენ<აღმოეცენ-ნ-ე-ნ<sup>11</sup> და ა. შ. როგორც ჩანს, უნდა ვივარაუ-დოთ, რომ იკარგებოდა ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-ნ/-ენ**, ან ზმნის ფუძის ბოლოკიდური **-ნ**. უფრო, ალბათ, ეს უკანასკნელი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით დასახელებული ტიპის (ე. ი. **-ენ**, **-ან**, **-ნ** სუფიქსიანი) ზმნების **ი-** და **ე-** პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები დრო-კილოთა II ჯგუფში ორი **ნ** თან-ზმოვნით უნდა დაიწეროს (მოველინენ, ჩაეტანენ, გაიგზავნენ...). მაგ-რამ **ნნ** თანზმოვანთა ამგვარ შეხვედრას თანამედროვე სალიტერატურო ენა, ალბათ, აარიდებს თავს ისევე, როგორც **ვ** თანზმოვანთა ასეთი შე-ხვედრაა გამარტივებული: **წვ-ავ-ს**, **ფქვ-ავ-ს...** ტიპის ზმნებისაგან მასდარ-ში მოსალოდნელი **წვ-(ა)ვ-ა**, **ფქვ-(ა)ვ-ა...** ფორმათა მაგივრად გვაქვს ერ-თი **ვ**თი: **წვა**, **ფქვა...** საკითხი ამგვარ ფორმებში ორი **ვ**-ს წერისა არც ის-მის. ასევე შეიძლება მოიხსნას ორი **ნ**'ს წერის საკითხი დასახელებულ სი-ტუაციაში, მით უმეტეს, რომ **-ნენ** სუფიქსისეული თავკიდური **-ნ** ამჟამად უფუნქციოდ არის დარჩენილი, ის აღარ აღნიშნავს ობიექტის მრავლობი-თობას.

ამდენად, მართალია, **ი-** და **ე-** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმე-ბი დრო-კილოთა II ჯგუფში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში **-ნენ** დაბოლოებას აჩვენებენ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, **-ენ**, **-ან**, **-ნ** სუფიქსიანი ზმნებისაგან ამგვარი ფორმები ორ **ნ**'ს ვერ შეინარ-ჩუნებენ და გამონაკლისის სახით უნდა გვქონდეს: გაებან-ენ, დაეტან-ენ, ებლღენ-ენ, მოველინ-ენ, მოეფინ-ენ, დაებჯინ-ენ (მიებჯინ-ენ), გაეგზავნ-ენ (გაიგზავნ-ენ), გამოეღვენ-ენ, აიწონ-ენ და მისთ. ოლონდ გასათვა-ლისწინებელია ისიც, რომ ასეთი ზმნების ვნებითის ფორმებით ხმარება სემანტიკურად შეზღუდულია სხვადასხვა მიზეზით. ამ მიზეზთაგან უმ-თავერესია ორი: 1. ზმნა თავისი სემანტიკით მხოლოდ უსულო საგნების მოქმედებას აღნიშნავს; უსულო საგნის მრავლობითი რიცხვი არ აღინი-შნება ზმნაში ჩვეულებრივად: **ქვა დაიფშვნა**, **ქვები დაიფშვნა**; 2. ზმნა ინვერსიული წყობისაა და ამდენად მასში არ აღინიშნება სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის რიცხვი:

**შვილი შეეძინა,**  
**ქალი მოეწონა,**

**შვილები შეეძინა;**  
**ქალები მოეწონა.**

<sup>11</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

ბ. ასეთივე გამოწვევის დაშვების საჭიროება ჩანს ზოგი ფუძემოვნიანი ზმნისათვის. მაგალითად, **ეგუება, ეპუება...** ზმნებისაგან ნამყო ძირითადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირის **-ნენ** დაბოლოების დართვის გამო ან **ვ** თანხმომავანი უნდა გამოჩნდეს ზმნის ფუძეში (შე-ე-გუ-ე-ვ-ნენ, შე-ე-პუ-ე-ვ-ნენ...) ან **-ნენ** დაბოლოებამ უნდა დაკარგოს თავიკიდური **ნ** თანხმომავანი (შე-ე-გუ-ენ, შე-ე-პუ-ენ...). **შეეგუვნენ, შეეპუვნენ...** ფორმები გვაქვს კიდევაც დიალექტებში და ზოგჯერ ნაწერსა და ნაბეჭდშიც იჩენს თავს, მაგრამ სალიტერატურო ქართული ამჟობინებს **შე-ე-გუ-ენ, შე-ე-პუ-ენ...** ფორმებს.

ამ ზმნათა ფორმები დრო-კილოთა II ჯგუფში იქნება:

ნამყო ძირითადისათვის:

მხ. რ.	შეეგუე	შეეპუე
	შეეგუე	შეეპუე
	შეეგუა	შეეპუა
მრ. რ.	შეეგუეთ	შეეპუეთ
	შეეგუეთ	შეეპუეთ
	შეეგუენ	შეეპუენ

კავშირებითი II-ისათვის:

მხ. რ.	შეეგუო	შეეპუო
	შეეგუო	შეეპუო
	შეეგუოს	შეეპუოს
მრ. რ.	შეეგუოთ	შეეპუოთ
	შეეგუოთ	შეეპუოთ
	შეეგუონ	შეეპუონ

**-ნენ** დაბოლოების აუცილებლობა ვნებითის ფორმებში ნამყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში იწვევს **-ევ** სუფიქსიანი ზმნების ფორმებში სუფიქსისეული **-ვ** თანხმომავნის შენარჩუნებას, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა ნამყო ძირითადში მხოლოდობითის მესამე პირში **-ია** დაბოლოებიანია ასეთი ზმნები<sup>12</sup>.

მაშასადამე, **ე-წვ-ევ-ა, ე-ხვ-ევ-ა, ე-ჩვ-ევ-ა, ე-რ-ევ-ა...** ტიპის ზმნების ნამყო ძირითადი მხოლოდობითის III პირისათვის ასეთია: **ე-წვ-ი-ა, მო-ე-ხვ-ი-ა, მი-ე-ჩვ-ი-ა, მო-ე-რ-ი-ა;** მრავლობითი რიცხვისათვის კი გვექნება: **ე-წვ-ივ-ნენ, მო-ე-ხვ-ივ-ნენ, მი-ე-ჩვ-ივ-ნენ, მო-ე-რ-ივ-ნენ...** ფორმები.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართული მხატვრული თუ პუბლი-

<sup>12</sup> „ნორმები“, I, 1970, გვ. 186; აგრეთვე: გვ. 207—210.

დისტური ნაწერების ენაში ჯერ კიდევ გვხვდება ამგვარი დარღვევები: ეწვიენ, მიეჩვიენ, მოერიენ და მისთ.

მაგალითები:

სტუმრები ეწვიენ საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევა-თა გამოფენას („ობილიხი“).

ვაჟები და ეწვიენ გაკვეთილების გაცდენას („სახ. განათლ.“).

თავს ვერ მოერიენ („ლელი“).

ამგვარი დარღვევები თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით დიალექტიზმად მიიჩნევა.

ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითების კავშირებითი II-ის ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ო სუფიქსითაა ნაწარმოები უმეტესად, ნაცვლად ძველი ქართულის -ე სუფიქსით წარმოებისა:

რა ვქნათ? — შე-ე-ი-კრიბ-ო-თ	შე-ე-ე-ფარ-ო-თ
შე-ი-კრიბ-ო-თ	შე-ე-ფარ-ო-თ
შე-ი-კრიბ-ო-ნ	შე-ე-ფარ-ო-ნ

აოხრებული ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად ერთგულნი უნდა შემოიკრიბონ მეფის ტახტის გარშემო („საქ. ქალი“).

გვხვდება დარღვევებიც ამ მხრივ:

მაშკაცებს ვერჩევთ ეწვიენონ სამომხმარებლო კოოპერაციის ბაზრობებს („ცნობის ფურც.“).

ე-წვი-ე-ნ-ო-ნ ფორმაში II კავშირებითის ძველი და ახალი წარმოების აღრევის შედეგი გვაქვს. კავშირებითის ახლებური -ო ნაწარმოებელი კი არის, მაგრამ შემორჩენილია ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი -ნ (<-ენ) სუფიქსიც. იყო ე-წვი-ე-ნ-ე-ნ, ახლა უნდა იყოს ე-წვი-ო-ნ.

2. დრო-კილოთა II ჯგუფში ფორმათა ერთნაირობას ვერ გვიჩვენებს -ევ სუფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმები. კერძოდ, ნამყო ძირითადის ფორმებში -ევ სუფიქსისეული -ი(ე) ზოგ ზმნას შემორჩენილი აქვს, ზოგს — არა. ამიტომ ერთმანეთის გვერდით ინგრევა (ენგრევა), იმტრევა (ემტრევა) და მისთანა ზმნებისათვის ნამყო ძირითადში გვაქვს:

შხ. რ. დაინგრა (დაენგრა), დაიმტვრა (დაემტვრა)...

მრ. რ. დაინგრნენ (დაენგრნენ), დაიმტვრნენ (დაემტვრნენ)...

მეორე მხრით, ეწვივა, ეწვივა, ეჩვივა, ერევა და მისთანა ზმნებისათვის:

მიეწვია, ეწვიოა, მიეჩვია, მოერია და მისთანები, რომელთა მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებში, როგორც ითქვა, სუფიქსისეული -ვ თანხმოვანი აღდგება (მიეწვივნენ, ეწვივნენ, მიეჩვივნენ, მოერივნენ...):

ა. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების თურმეობითი პირველის ფორმები რთული შედგენილობისაა. კერძოდ, შედგება ნამყო დროის მიმღეობისა და მეშველი ზმნის აწმყოფის ფორმისაგან (და-ვ-ბადებულ-ვარ, გა-ვ-ზრდილ-ვარ). ძველ ქართულში პირველი პირის ნიშანი ვ- მიმღეობის წინ არ იხმარებოდა, პირველი პირი აღინიშნებოდა მხოლოდ მეშველი ზმნით, რომელიც ყველა სხვა პირშიც სრულად იყო წარმოდგენილი; ე. ი. გვქონდა აღწერითი წარმოება:

რა მიქნია? — გა-ზრდილ ვარ	გაზრდილ ვართ
გა-ზრდილ ხარ	გაზრდილ ხართ
გა-ზრდილ არს	გაზრდილ არიან

თანამედროვე ქართულში აღწერითი წარმოება შეიცვალა ორგანულთ, რის შედეგადაც III პირის ფორმები გვაქვს მეშველი ზმნის შეკვეცითა და დარჩენილი ნაწილის მიმღეობის ფუძესთან შერწყმით ამგვარად:

მხოლოდობითში — გაზრდილა  
 მრავლობითში — გაზრდილან

II პირში მხოლოდ მართლწერა შეიცვალა, ერთმანეთს შეერწყა მიმღეობა და მეშველი ზმნა (გაზრდილხარ, გაზრდილხართ). I პირში კი მიმღეობის ფორმაში, ზმნისწინის შემდეგ ჩაერთო სუბიექტური პირის ნიშანი და დღეს სადავო აღარ არის ფორმები:

გავზრდილვარ — გავზრდილვართ  
 დავბადებულვარ — დავბადებულვართ

I სუბიექტური პირის ნიშანი მიმღეობის წინაცაა ზმნისწინის შემდეგ და მეშველი ზმნის თავშიც არის შენარჩუნებული. ყველა სხვაგვარი წარმოება ამგვარი ფორმებისა სალიტერატურო ენის დარღვევად ითვლება.

ბ. თურმეობითი მეორე ამგვარ ზმნებს ასე ეწარმოებათ: მიმღეობის ფუძეს დაერთვის მეშველი ზმნის ნამყო ძირითადის ფორმა.

რა მექნა? — გა-ვ-ზრდილ-იყავ	და-ვ-ბადებულ-იყავ
გაზრდილ-იყავ	და-ბადებულ-იყავ
გა-ზრდილ-იყო	და-ბადებულ-იყო
გა-ვ-ზრდილ-იყავ-ი-თ	და-ვ-ბადებულ-იყავ-ი-თ
გა-ზრდილ-იყავ-ი-თ	და-ბადებულ-იყავ-ი-თ
გა-ზრდილ-იყვ-ნენ	და-ბადებულ-იყვ-ნენ

ორგანულ წარმოებაზე გადასვლა აქ დამთავრებულია იმით, რომ მეშველ ზმნაში სუბიექტური პირველი პირის ნიშანი აღარ იხმარება (ძველად იყო: გაზრდილ ვიყავი, გაზრდილ ვიყავით), იგი მიმღეობის წინ ჩა-

ა. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების თურმეობითი პირველის ფორმები რთული შედგენილობისაა. კერძოდ, შედგება ნამყო დროის მიმღეობისა და მეშველი ზმნის აწმყოს ფორმისაგან (და-ვ-ბადებულ-ვარ, გა-ვ-ზრდილ-ვარ). ძველ ქართულში პირველი პირის ნიშანი ვ- მიმღეობის წინ არ იხმარებოდა, პირველი პირი აღინიშნებოდა მხოლოდ მეშველი ზმნით, რომელიც ყველა სხვა პირშიც სრულად იყო წარმოდგენილი; ე. ი. გვექონდა აღწერითი წარმოება:

რა მიქნა? — გა-ზრდილ ვარ	გაზრდილ ვართ
გა-ზრდილ ხარ	გაზრდილ ხართ
გა-ზრდილ არს	გაზრდილ არიან

თანამედროვე ქართულში აღწერითი წარმოება შეიცვალა ორგანულ-ლით, რის შედეგადაც III პირის ფორმები გვაქვს მეშველი ზმნის შეკვეცითა და დარჩენილი ნაწილის მიმღეობის ფუძესთან შერწყმით ამგვარად:

მხოლოდობითში — გაზრდილა  
 მრავლობითში — გაზრდილან

II პირში მხოლოდ მართლწერა შეიცვალა, ერთმანეთს შეერწყა მიმღეობა და მეშველი ზმნა (გაზრდილხარ, გაზრდილხართ). I პირში კი მიმღეობის ფორმაში, ზმნისწინის შემდეგ ჩაერთო სუბიექტური პირის ნიშანი და დღეს სადავო აღარ არის ფორმები:

გავზრდილვარ — გავზრდილვართ  
 დავბადებულვარ — დავბადებულვართ

I სუბიექტური პირის ნიშანი მიმღეობის წინაცაა ზმნისწინის შემდეგ და მეშველი ზმნის თავშიც არის შენარჩუნებული. ყველა სხვაგვარი წარმოება ამგვარი ფორმებისა სალიტერატურო ენის დარღვევად ითვლება.

ბ. თურმეობითი მეორე ამგვარ ზმნებს ასე ეწარმოებათ: მიმღეობის ფუძეს დაერთვის მეშველი ზმნის ნამყო ძირითადის ფორმა.

რა მექნა? — გა-ვ-ზრდილ-იყავ	და-ვ-ბადებულ-იყავ
გაზრდილ-იყავ	და-ბადებულ-იყავ
გა-ზრდილ-იყო	და-ბადებულ-იყო
გა-ვ-ზრდილ-იყავ-ი-თ	და-ვ-ბადებულ-იყავ-ი-თ
გა-ზრდილ-იყავ-ი-თ	და-ბადებულ-იყავ-ი-თ
გა-ზრდილ-იყვ-ნენ	და-ბადებულ-იყვ-ნენ

ორგანულ წარმოებაზე გადასვლა აქ დამთავრებულია იმით, რომ მეშველ ზმნაში სუბიექტური პირველი პირის ნიშანი აღარ იხმარება (ძველად იყო: გაზრდილ ვიყავი, გაზრდილ ვიყავით), იგი მიმღეობის წინ ჩა-

ერთო იმგვარადვე, როგორც თურმეობით I-ში, მეშველ ზმნასთან კი ამოვარდა.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ამ წესის დარღვევის შემთხვევებიც ამ ტიპისა: გავზრდილვიყავ, გავზრდილვიყავით.

გ. ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების I და II თურმეობითის ფორმათა მართლწერისათვის პირველ რიგში საყურადღებოა ობიექტური მესამე პირის ნიშნის ხმარების წესი: რაკი ამ ზმნებს ხმოვანთავსართები აღარ უჩანთ, აუცილებელია ობიექტური მესამე პირის ნიშნის წარმოდგენა, თუ ზმნის დასაწყისი თანხმოვანი არ უშლის ამას ხელს. ამგვარად გვექნება **აჰვიდებია, მიჰგებებია, წასწყდომია, დაჯახებია** და მისთანა ფორმები, ხოლო **აკიდებია, მიგებებია, წაწყდომია, დაჯახებია** და მისთანები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურის ენაში, **ჰ-** და **ხ-** თავსართების ხმარების ერთ-ერთი წესის დარღვევის ნიმუშებია.

დ. ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების I თურმეობითის ფორმებიც ერთპირიანთა მსგავსად იწარმოება ნაწილობრივად. ამ შემთხვევაშიც სალიტერატურო ქართულის დღევანდელი სისტემით ეს ფორმები მეშველზმნიანია. კანონიერია I პირისათვის ისეთი ფორმები, რომლებშიც **ვარ** მეშველი ზმნაც მოიპოვება და **ვ** პრეფიქსიც: **მო-ვ-ჰ-ფერებ-ი-ვარ**, **მი-ვ-ჰ-გებებ-ი-ვარ**, **მო-ვ-ჰ-კვდომ-ი-ვარ**, **შე-ვ-ს-ძულებ-ი-ვარ** და ა. შ. ოღონდ, თუმცა საერთოდ სავალდებულოა ობიექტური მესამე პირის **ჰ-** ან **ხ-** პრეფიქსების ხმარება, ამგვარი ფორმებისათვის დასაშვებადაა მიჩნეული, რომ, როცა ზმნის ფორმაში III ირიბობიექტურ პირთან ერთად I სუბიექტური პირია წარმოდგენილი, პირველი სუბიექტური პირის **ვ-** ნიშნის შემდეგ **ჰ-** და **ხ-** თავსართები აღარ იხმარებოდეს.

ამგვარად **მივჰგებებივარ** და **მივგებებივარ** თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია.

ასევე: **მოვჰფერებივარ** და **მოვფერებივარ**  
**მოვჰკვდომივარ** და **მოვკვდომივარ**  
**შევსძულებივარ** და **შევძულებივარ** და სხვ.

ე. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზოგი ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნის I თურმეობითისათვის ამოსავალია ვნებითის ძველბუთრი ფორმები. მაგალითად, **დახატვია, დამალვია, შეჰკითხვია...** ფორმებისათვის ამოსავალია **ემალვის, ეხატვის, ეკითხვის...** ფორმები და არა **ემალება, ეხატება, ეკითხება...** მოსალოდნელი კი იყო **-ებ** სუფიქსიანი სხვა ზმნების მსგავსად I თურმეობითშიც **-ებ** სუფიქსიანი ფორმები: ვუ-



შენდები — ავშენებივარ, ვეკითხები — შევკითხებივარ, ვეკრები — დავკრებივარ და სხვ.

**დახატვია, დამალვია, შეჰკითხვია...** ტიპის ზმნათა I თურმეობითის I და II პირის ფორმებია:

და-ვ-ხატ-ვ-ი-ვარ, და-ვ-მალ-ვ-ი-ვარ, შე-ვ-ჰ-კითხ-ვ-ი-ვარ...  
და-ხატ-ვ-ი-ხარ, და-მალ-ვ-ი-ხარ, შე-ჰ-კითხ-ვ-ი-ხარ...

გვხვდება ამ ფორმებში -ავ სუფიქსისეული ვ თანხმოვნის კარგვის შემთხვევები, რაც სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სწორი არ არის.

ვინ მოთვლის რამდენჯერ შევკითხვივართ საკუთარ თავს („ახ. კომ.“).

კონკრეტულად ამ ზმნისათვის უფრო სწორ ფორმად შევკითხებივარ არის მიჩნეული. სხვა შემთხვევებისათვის კი გათვალისწინებული უნდა იქნეს მართლწერის შემდეგი წესი: ამგვარ ფორმებში თემისნიშნისეული ვ თანხმოვანი შენარჩუნებული უნდა იყოს მეშველი ზმნის წინ.

ვ. ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების I თურმეობითის საწარმოებლად მეშველი ზმნა ერთვის არა მიმღობის ფუძეს, არამედ ზმნურ ფუძეს: მი-ვ-ფერებ-ი-ვარ, შე-ვ-ქულებ-ი-ვარ...

ზოგჯერ თანამედროვე ქართულში გვხვდება დარღვევები ამ წესისაც. ერთპირიანთა მსგავსად ამოსავალ ფუძედ ასეთ ზმნებთანაც მცდარად მიმღობის ფუძეა მიჩნეული და იხმარება ასე: მო-ვ-ფერებულ-ვარ, შე-ვ-ქულებულ-ვარ, და-ვ-ცილებულ-ვარ, მი-ვ-ძალებულ-ვარ და ა. შ.

შეიძლება ითქვას, ერთმანეთს არ დავცილებულვართ („ციხკარი“).

შე მაშინ აღარ მივძალებულვარ შეკითხვებით („ციხკარი“).

უნდა იყოს შესაბამისად: დავცილებივართ, მივძალებივართ ფორმები.

ზ. ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების II თურმეობითის ფორმათა წარმოება უფრო მეტადაა განსხვავებული ერთპირიანი ზმნების ფორმათა წარმოებისაგან. ჯერ ერთი, აქაც ამოსავალია არა მიმღობის ფუძე, არამედ ზმნისა, რომელსაც ერთპირიანთა -იყავ მეშველი ზმნის მაგივრად ერთვის -ოდ-ი დაბოლოება მხოლოდობითი რიცხვის პირველსა და მეორე პირში, -ოდ-ა — მესამე პირში (ე-მალ-ებ-ა — და-მალ-ვ-ოდ-ა). ამგვარი წარმოება გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში და ისტორიული თვალსაზრისითაც გამართლებულია. ამიტომ უნდა იხმარებოდეს მხოლოდ ამგვარი ფორმები:

რა მექნა? — მოვფერებოდი	მოვკვდომოდი	შევქულებოდი
მოჰფერებოდი,	მოჰკვდომოდი,	შესქულებოდი
მოჰფერებოდა,	მოჰკვდომოდა.	შესქულებოდა

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ხშირია ამგვარ ფორმათა მართლწარმოებისა და მართლწერის დარღვევის შემთხვევები.

ეგრძელ, ერთი მხრით, გვხვდება -ოდ-ი (-ოდ-ა) დაბოლოების მაგივრად -იყავ (-იყო) მეშველზმნიანი ფორმები: დამალციყო, დასდგომიყო, გასჩენიყო და მისთანები; მეორე მხრით, ერთპირიანთა მსგავსად ამ ნაკვთის ფორმა გვხვდება მიმლეობის ფუძეზე დართული მეშველი ზმნით: შეხვედრილიყო, მიგებებულყო, შეერთებულყო, ზიარებულყო (ის მას) და სხვ. (ნაცვლად ფორმებისა: შეხვედროდა, მიჰგებებოდა, შეერთებოდა, ზიარებოდა და სხვ.).

გლახამ მოაწვია დარიალის ციხეს, სადაც უნდა შეერთებულყო სხვა მგზავრებს (ა. ყაზბ.).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ორივენაირი დარღვევა გვაქვს ამგვარ წარმოებაში: მიმლეობის შეერთებულ ფუძეა გამოყენებული ზმნის შეერთებ ფუძის მაგივრად და -იყო დაბოლოება — -ოდ-ა დაბოლოების მაგივრად. ამგვარი მოვლენები უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში შეინიშნება, რადგანაც აღმოსავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმა კი ისტორიულად სწორი ფორმის დაკანონებას მოითხოვს.

**უერთდება** ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნისათვის II თურმეობითის კანონიერი ფორმებია შემდეგი:

რა მექნა? — შევერთებოდი და არა შევერთებიყავი ან:

### შევერთებულიყავი

შეერთებოდი და არა: შევერთებიყავი ან: შევერთებულიყავი  
შეერთებოდა „ შევერთებიყო „ შევერთებულიყო

ასევე შევხვდები (მე მას) ზმნისათვის:

შევხვედროდი და არა: შევხვედრიყავი ან: შევხვედრილიყავი  
შევხვედროდი „ შევხვედრიყავი „ შევხვედრილიყავი  
შევხვედროდა „ შევხვედრიყო „ შევხვედრილიყო.

**მივგებებუ** ზმნისათვის:

მივგებებოდი და არა: მივგებებეყავი ან: მივგებებულიყავი  
მიჰგებებოდი „ მიჰგებებეყავი „ მიგებებულიყავი  
მიჰგებებოდი „ მიჰგებებეყო „ მიგებებულიყავი

**ვეზიარები** (მე მას=მონაწილე, მოზიარე გავხდები) ზმნისათვის:

ვეზიარებოდი და არა: ვზიარებიყავი ან: ვზიარებულეყავი  
ზიარებოდი „ ზიარებიყავი „ ზიარებულეყავი  
ზიარებოდა „ ზიარებიყო „ ზიარებულეყო  
და მისთ.

ზოგი ამნაირი ფორმა ერთპირიანის გავებითაც იხმარება. მაშინ კი ამითაც ერთპირიანთა მსგავსად დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები მიმლეობის ფუძისაგან ექნებათ ნაწარმოები.

**ვეზიარები** ერთპირიანი გავებითაა, როცა რელიგიურ **ზიარების მიღებას** აღნიშნავს. ასეთ შემთხვევაში მისგან თურმეობითი I-ის ფორმები იქნება: ვზიარებულვარ, ზიარებულხარ, ზიარებულა; ხოლო თურმეობითი II-ისა: ვზიარებულეყავ, ზიარებულეყავ, ზიარებულეყო.

**ვხვდები** ზმნა, როცა **მიხვედრის** მნიშვნელობითაა გამოყენებული, მაინც ორპირიანია (მიხვდვი მე მას), მაგრამ ფორმები ერთპირიანთა მსგავსად ეწარმოება დრო-კილოთა III ჯგუფში:

რა მიქნია? — მიხვედრილვარ, მიხვედრილხარ მიხვედრილა.

რა მექნა? — მიხვედრილეყავ, მიხვედრილეყავ, მიხვედრილეყო.

**ი-რთ-ვ-ებ-ა/ი-რთ-ობ-ა** და **ე-რთ-ობ-ა** ერთი და იმავე **რთ** ძირიდან სხვადასხვა თავსართით ნაწარმოები ვნებითის ფორმებია. დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები მათ განსხვავებულად უნდა ჰქონდეთ ნაწარმოები წესის მიხედვით. მაგრამ **ერთობა** ფორმასაც ერთპირიანის გავება აქვს და ამიტომ ორივე მიმლეობის ფუძისა და მეშველი ზმნის საშუალებით იწარმოებს ფორმებს. საინტერესოა ამ ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმებიც მრავლობითი რიცხვის მესამე პირში.

**ირთვება** ზმნისაგან ნამყო ძირითადში მესამე პირის ფორმები იქნება **მოირთო**, **მოირთვნენ** (ჩაერთო, ჩაერთვნენ).

**ერთობა** ზმნისაგან — **გაერთო**, **გაერთნენ**.

ამ ზმნათა I თურმეობითი იქნება:

მოვრთულვარ	გავრთულვარ
მორთულხარ	გართულხარ
მორთულა	გართულა
მოვრთულვართ	გავრთულვართ
მორთულხართ	გართულხართ
მორთულან	გართულან

## II თურმეობითი:

მოვრთულიყავ	გავრთულიყავ
მორთულიყავ	გართულიყავ
მორთულიყო	გართულიყო
მოვრთულიყავით	გავრთულიყავით
მორთულიყავით	გართულიყავით
მორთულიყვენენ	გართულიყვენენ

გვხვდება მიმღეობის სხვა ფუძეზე დამყარებული ფორმებიც ამ ზმნისა მნიშვნელობის ერთგვარი გადახრით:

I თურმეობითში: გავრთობილვარ  
გართობილხარ  
გართობილა

II თურმეობითში: გავრთობილიყავ  
გართობილიყავ  
გართობილიყო

\*

\* \*

უნდა აღინიშნოს ვნებითი გვარის ფორმათა მართლწერის ზოგი სხვა ცალკეული შემთხვევაც.

1. აქრობს მოქმედებითი გვარის ზმნის შესაბამისად ქართულში არის ქრება ვნებითი გვარის ზმნა. ისტორიულად შეიძლება ივარაუდება ამ ზმნაში ვ თანხმოვნის არსებობა (რაც ზოგ შემთხვევაში გამოჩნდება), მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არც მოქმედებითის ფორმაში სადმე და მით უმეტეს არც ვნებითის ფორმაში არაა მართებული ვ თანხმოვნის გამოჩენა. შეცდომაა ჩ ა უ ქ ვ რ ი ა, ქ ვ რ ე ბ ა ფორმები, რომლებიც არცთუ იშვიათად იხმარება ზეპირ მეტყველებაში, ზოგჯერ ნაბეჭდ პროდუქციაშიც:

ჭაღები და ა ქ ვ რ ე ო... ეს იყო პირველი სიტყვა სტუმრისა...

შუქი რაღად გინდა, და ა ქ ვ რ ე ო ჭაღები (ჯ. ვამსახ.).

მაშინ ჩ ა ქ ვ რ ა შენში აღამიანის სული („თბილისი“).

აქრობს — ქრება ზმნათა ფორმები სხვადასხვა ჯგუფის დრო-კილოებში იქნება: აქრობს, ჩააქრობს, ჩააქრო, ჩაუქრია... ქრება, ჩაქრება, ჩაქრა, ჩამქრალა...

2. ღელავს ზმნის შესაბამისია მოქმედებითის ა-ღელ-ვ-ებ-ს და ვნე-

ბითის დედ-დებ-ა ფორმები. ვნებიტის სხვა ფორმებია: აღელდება, აღელ-  
და, აღელვებულა.

ზოგჯერ ამ ზმნის ნამყო ძირითადის ფორმას III პირში ამბობენ და  
წერენ არასწორად: აღელვდა ამოსავალი ფუძის ანალოგიით, რაც  
მართლწერის უხეში დარღვევაა აგრეთვე.

სხვა კანონიერ ფორმებთან ერთად ასეთი ცალკეული შემთხვევებიც  
თავმოყრილია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“, რომელიც,  
როგორც ზემოთ ითქვა, ფორმათა ორთოგრაფიული და მორფოლოგიური  
დახასიათების გარდა გვაწვდის ცნობებს ნორმატული სინტაქსურ-სტილის-  
ტიკურა დახასიათებისთვისაც.

ენებითი გვარის ფორმათა გამოყენებასა და მართლწერასთან დაკავ-  
შირებით საინტერესოა თანამედროვე ქართულში შესამჩნევი ერთი მოვ-  
ლენაც.

ცნობილია, რომ ქართულში ზოგი ზმნის ვნებითის ფორმა აქტიუ-  
რის გავებით გამოიყენება. ასეთები შეიძლება იყოს ერთპირიანებიც და  
ორპირიანებიც. ასეთი ზმნების ნამყო ძირითადის ფორმებთან სუბიექტი  
ცდილობს მოთხრობითი ბრუნვის ფორმით დამკვიდრებას, ობიექტი კი  
სახელობითი ბრუნვის ფორმით გამოიყენება მიცემითის მაგივრად<sup>13</sup>. ეს  
პროცესი გრძელდება და ვრცელდება თანამედროვე სალიტერატურო  
ქართულშიც. 1934 წელს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დად-  
გენისათვის ერთ-ერთ მოხსენებაში „ზმნის გარდამავლობასთან დაკავში-  
რებული პრაქტიკული საკითხები“ აკად. არნ. ჩიქობავა წერს: „არცთუ  
იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა ზმნა მიუთითებს აქტიურ სუბიექტ-  
ზე, მაგრამ გარდამავალი არ არის; ასეთია, მაგალ., ზმნები: ეკითხება,  
ეშველება, ეხმარება, ეჯიბრება, ეფერება, ებრძვის — ის მას... ამ ზმნე-  
ბის მნიშვნელობა აქტიურია, აგებულება — პასიური. ამიტომ ხდება  
სოლნე, რომ მათ აორისტში სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში უსმენ ისე,  
როგორც ეს შეეფერება გარდამავალ ზმნებს: იმან დამეხმარა, შემეკითხა...  
წაეშველა, შეებრძოლა და სხვ. შეცთომია; უნდა ვიხმაროთ: ის დამეხმა-  
რა, შემეკითხა... წაეშველა, შეებრძოლა...“<sup>14</sup> ასეთსავე შეცდომებზე მიუ-  
თითებდა აკად. ვ. თოფურია<sup>15</sup>. ამის მიუხედავად, კვლავ გვხვდება ვნები-  
თი გვარის ფორმებთან ნამყო ძირითადში სუბიექტის მოთხრობითი ბრუნ-

<sup>13</sup> არნ. ჩიქობავა, *მა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებუ-  
ლებას?*, II, „ახალ სკოლისაკენ“, 1929 წ., № 9—10, გვ. 60.

<sup>14</sup> არნ. ჩიქობავა, *ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული  
საკითხები*, 1934 წ., გვ. 9.

<sup>15</sup> ვ. თოფურია, *ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი*, 1965 წ.,  
გვ. 92—93.

ვის ფორმით გამოყენების შემთხვევები არა მარტო მოსწავლეთა და აბიტურიენტთა ნაწერებში, არამედ საერთოდ ზეპირ მეტყველებაში და ნაბეჭდ პროლეტარიაშიც.

ამის პარალელურად ობიექტი ასეთ ზმნებთან ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის ფორმებში სახელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ზმნები ცდილობენ გარდამავალი ზმნების თვისებების შექმნას. ასეთ შემთხვევაში მერყეობს გარდამავლობის ამოსაცნობი სინტაქსური კრიტერიუმი.

მაგალითები:

იგი 13 წლის ბიჭი ფიშერს ორი პარტია ეთამაშა („ლელო“).

მან ე. ფატალიბეკოვას მატჩი უნდა ეთამაშოს („ლელო“).

მან წინა მატჩი ეთამაშა დინამოს (ტელევი-).

=ეთამაშა ის მას მას.

ეს ამბავი იქ მომიყვა ქიტაშვილის ამხანაგმა („ცისკარი“).

მამა იორამმა მოუყვა ბაჩანას (ნ. ლუშა).

ბებიაშ ფოტოსურათის ამბავი მოუყვა („ცისკარი“).

=მოუყვა ის მას მას.

ათასი რამ დაჰპირდა („მნათობი“).

=ათას რამეს დაჰპირდა.

რ. ქეცბაიამ ხალგაზრდა პოეტებს ესაუბრა („კომუნისტი“).

ბევრი ეხვეწა მათ (მ. კვეს).

=ბევრს ეხვეწა იგი მათ.

ფული ესესხა მეზობელს („ცისკარი“).

=ფულს ესესხა.

რით შემიძლია დავეხმარო ანდრეი მალახოვს არა როგორც ეურნალისტმა, არამედ როგორც აღამიანმა (ტელევი-).

=დავეხმარო მე (ეურნალისტი) მას (მალახოვს).

ასეთ ზმნებთან საინტერესო ისიცაა, რომ ირყევა გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა გასარჩევი მორფოლოგიური კრიტერიუმიც და -ეს დაბოლოება ჩნდება ნამყო ძირითადში მრავლობითის III პირში გარდამავალთა მსგავსად. გვხვდება ეფერეს, ელაპარაკეს, მოგვიყვეს, ეხვეწეს, ესესხეს და მისთანა არასწორი ფორმები.

მაგალითები:

ქანგაწყვეტილმა მუშებმა დაილოცეს („ცისკარი“).

წელგაწყვეტილი კიბები შეავსეს, დაილოცეს, მოხუცს სიცოცხლე უსურვეს („ცისკარი“).

გარინდებული ხალხი ნელ-ნელა ამოძრავდა, ერთურთს რაღაც ელაპარაკეს (ლ. მრელ-).

ბევრი ეხვეწეს, მაგრამ პირგამეხებულმა ბიჭი ვერ გადადგა („ლიტ. ხაჭ.“).

მათ მოგვიყვეს ეს ამბავი, მათ ეკუთვნით იგი და ამიტომ შევიდნენ ფილმში (ტელევი- რ. ჩხეიძე).

რას არ დაჰპირდნენ, როგორ არ ეფერეს, როგორ არ დატუქსეს... მაგრამ არაფერმა გასჭრა („ცისკარი“).

ასეთ ზმნებთან -ეს დაბოლოების გამოჩენა ამ ზმნების ბუნების შესასწავლად საინტერესო ტენდენციაა, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით არაკანონიერია. ამგვარი ზმნები უნდა ვიხმაროთ ასეთი მართლწერით:

**დაილოცნენ** ისინი.

**ელაპარაკნენ, მოეფერნენ, შეეხვეწნენ, შეეცადნენ, ესაუბრნენ...**  
ისინი მას.

**შეეკითხნენ, მოუყვნენ, დაჰპირდნენ, ესესხნენ...** ისინი მას მას და ა. შ.

ზმნათა გარდამავლობის საკონტროლო სინტაქსურ და მორფოლოგიურ საშუალებათა სწორად მომარჯვება თავიდან აგვაშორებს ვნებითი გვარის ამნაირ ფორმათა მართლწერისა და გამოყენების დარღვევებს (არნ. ჩიქობავა).